



1-754

4.11.09

თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტოს

საკითხი: რიგი ეკონომიკური აგენტებისთვის დაწესებული შეღავათური სტანდარტების გაუქმების მოთხოვნა.

მოგმართავთ იმის თაობაზე, რომ ჩვენი აზრით საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო არღვევს "თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნას ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი შეღავათების დაწესების აკრძალვის თაობაზე, რომელიც კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას.

კერძოდ, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციაში გატარების გზით საქართველოს სტანდარტის სამართლებრივი სტატუსი მინიჭებული აქვს შემდეგ სტანდარტებს (სტანდარტების ტექსტები ამ წერილზე თანდართულია):

- მსტ 20769010-004-2006 "კარაქი ნაღების და კომბინირებული "ჯორჯიან-ეკო" (შემუშავებულია შპს "ჯორჯიან-ეკო" მიერ);
- მსტ 20964817-001-2009 "კარაქი ნაღების და კომბინირებული "სამგორი" (შემუშავებულია საზოგადოება "სამგორის" მიერ);
- მსტ 20630602-021-2006 "კარაქი ძროხის და კომბინირებული "ნიკორა" (შემუშავებულია შპს "ნიკორას" მიერ);
- მსტ 20446152-016-04 "კარაქი" (შემუშავებულია შპს "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტის" მიერ).

ჩამოთვლილი სტანდარტები შესაბამის მეწარმე სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევს დასახელებით "კარაქი" აწარმოოს და საქართველოს ბაზარზე გაიტანოს პროდუქტი, რომელიც მცენარეულ ცხიმებს შეიცავს. საერთაშორისო სტანდარტებით ასეთ პროდუქტებს უნდა ერქვას არა კარაქი, არამედ "მარგარინი", "ბლენდი" ან "სპრედი" (იხ. დანართი 6). უფრო მეტიც:

- კოდექს ალიმენტარიუსის " რძის პროდუქტების დასახელებათა გამოყენების შესახებ" ზოგადი სტანდარტის (Codex General Standard for the Use of Dairy Terms, CODEX STAN 206-1999) 4.3 პუნქტის მიხედვით რძის რომელიმე პროდუქტის დასახელების გამოყენება პროდუქტის ეტიკეტზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შემცველობა ამ კოდექსით ამ პროდუქტისთვის დადგენილ სტანდარტს შეესაბამება;
- კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი "კარაქის" (Codex Standard for Butter, CODEX STAN 279-1971, აღნიშნული სტანდარტი საქართველოს ეროვნულ სტანდარტადაც არის აღიარებული) 3.1 პუნქტის მიხედვით კი კარაქი მხოლოდ რძისგან ან რძისგან მიღებული მასალებისგან დამზადებულ პროდუქტს წარმოადგენს (ანუ მცენარეული ცხიმის გამოყენება კარაქის დამზადებისას დაუშვებელია).

აქვე ავღნიშნავთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის "ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ" 1995 წლის 15 აპრილის შეთანხმების მე-4 მუხლის მიხედვით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ ქვეყანაში სტანდარტიზაციის ცენტრალური ორგანო ამ შეთანხმების მე-3 დანართით დადგენილ "სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კარგი პრაქტიკის კოდექსის" მიხედვით მოქმედებდეს. კერძოდ, ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ აღნიშნული კოდექსის „F“ პარაგრაფს, რომლის მიხედვით სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია მის მიერ დამტკიცებული სტანდარტების საფუძველად საერთაშორისო სტანდარტები გამოიყენოს.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვწერეთ, ჩამოთვლილი მეწარმე სუბიექტების სტანდარტები საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არათანაბარ შედეგათიან მდგომარეობაში აყენებს ამ ოთხ ეკონომიკურ აგენტს სხვა მეწარმეებთან შედარებით, რომლებიც ანალოგიურ პროდუქტის წარმოებას ან იმპორტს ახორციელებენ. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის სამართლიან და თავისუფალ კონკურენციას ამ სფეროში და აგრეთვე აზარალებს მომხმარებლის ინტერესებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღწერილი სამართლებრივი გაუმართაობა უახლოეს პერიოდში უნდა იქნას აღმოფხვრილი.

ინფორმაციისთვის გაწვდით აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციის მიერ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული რამოდენიმე კარაქის შემოწმების შედეგს, საიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული ქართული სტანდარტებით წარმოებული (ჩვენს მიერ შემოწმებული) არც ერთი პროდუქტი არ შეესაბამება კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტ "კარაქს" (იხ. დანართი 7).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გთხოვთ, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში მოსთხოვოთ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს თანდართული საქართველოს სტანდარტების რეგისტრაციის გაუქმება.

გთხოვთ, აგრეთვე მოსთხოვოთ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, გამოიკვლიოს მის მიერ რეგისტრაციაში გატარებული სხვა ე.წ. "მეწარმე სუბიექტის სტანდარტებიც" და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შეუსაბამობის შემთხვევაში აგრეთვე გააუქმოს მათი რეგისტრაცია.

გთხოვთ, გვაცნობოთ ამ განცხადებაზე თქვენი რეაგირების შესახებ.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი



დანართები (სულ 74 გვ):

დანართი 1: შპს "ჯორჯიან-ეკოს" მიერ მოწოდებული მსტ 20769010-004-2006
"კარაქი ნაღების და კომბინირებული "ჯორჯიან-ეკო" (13 გვ);

დანართი 2: საზოგადოება "სამგორის" მიერ მოწოდებული მსტ 20964817-001-2009
"კარაქი ნაღების და კომბინირებული "სამგორი" (12 გვ);

დანართი 3: შპს "ნიკორას" მიერ მოწოდებული მსტ 20630602-021-2006 "კარაქი
ძროხის და კომბინირებული "ნიკორა" (13 გვ);

დანართი 4: შპს "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტის" მიერ მოწოდებული მსტ 20446152-
016-04 "კარაქი" (24 გვ);

დანართი 5: CODEX STAN 206-1999 და CODEX STAN 279-1971 (7 გვ);

დანართი 6: ინფორმაცია სხვადასხვა შემადგენლობის ცხიმოვანი
პროდუქტებისთვის საერთაშორისო დონეზე დადგენილ
დასახელებათა შესახებ (1 გვ);

დანართი 7: ინფორმაცია სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
მიერ საქართველოს ბაზარზე არსებული კარაქების რამოდენიმე
სახეობის გაზომვების შესახებ (4 გვ).

დანართი 1: შპს "ჯორჯიან-ეკოს" მიერ მოწოდებული
მსტ 20769010-004-2006 "კარაქი ნაღების და კომბინირებული "ჯორჯიან-ეკო"

მსგ 20769010-004-2006


მეწარმე სუბიექტის სტანდარტი
კარაქი ნაღების და კომბინირებული
”ჯორჯიან ეკო”

თბილისი

2006



268-12-005215



ჯგუფი 6-17
შპს 'ჯორჯიან ეკო'-ს
ინტელექტორი

ლ. ალავეიძე
2006 წ.

მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

კრაქი ნალების და კომბინირებული მსგ 20769010-004-2006
"ჯორჯიან-ეკო" პირველად

პკ.15.51.30

16.11.06 - დან
16.11.11 - მდვ

წინამდებარე მეწარმე სუბიექტის სტანდარტი ვრცელდება ნალების კარაქზე და ნალების კარაქის და მცენარეული ცხიმის (სპეციალური დამუშავებით შერევით) (შემდგომ ტექსტში კარაქი) რძის მრეწველობისათვის დადგენილი სანიტარული ნორმების დაცვით, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ საკვებად, საგაჭრო ქსელში რეალიზაციისათვის და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის.

1. ტექნიკური მოთხოვნები

- 1.1 კარაქი უნდა დამზადდეს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით რძის მრეწველობის საწარმოთათვის დადგენილი სანიტარული წესების დაცვით.
- 1.2 კარაქი გამომუშავდება შემდეგი სახით:
 - კარაქი ნაღების 82.5% ცხიმით
 - კარაქი ნაღების 72.5% ცხიმით
 - კარაქი ნაღების 61.5% ცხიმით (საბუტერბროდე).
 - კარაქი კომბინირებული 82.5% ცხიმით (25% მცენარეული ცხიმით)
 - კარაქი კომბინირებული 72.5% ცხიმით (20% მცენარეული ცხიმით)
 - კარაქი კომბინირებული 61.5% ცხიმით (20% მცენარეული ცხიმით)
- 1.3 კარაქის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული და მასალები:
 - კარაქი ძროხის გოსტ 37-ის მიხედვით;
 - კარაქი ნაღების იმპორტული; უმარილო სატრანსპორტო ტარაში შეფუთული შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
 - რძე ძროხის პასტერიზებული გოსტ 13277-ის მიხედვით;
 - რძე მშრალი ცხიმგაცლილი გოსტ 10970-ის მიხედვით;
 - შაქრის ფხვნილი გოსტ 21-ის მიხედვით;
 - ცხიმი მცენარეული, იმპორტული შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
 - წყალი სასმელი გოსტ 2874-ის მიხედვით;

1.4 ნედლეული 100 კგ პროდუქტზე

ცხრილი 1.

ნედლეულის და მასალების დასახელება	პროდუქციის დასახელება					
	კარაქი ნაღების 82,5%	კარაქი ნაღების 72,5%	კარაქი ნაღები ს 61,5%	კარაქი კომბინ. 82,5%	კარაქი კომბინ. 72,5%	კარაქი კომბინ. 61,5%
კარაქი ნაღების	100	87.8	68	70	63	55
ცხიმი მცენარეული	-	-	-	25	20	20
აღდგენილი რძე	-	12.2	32	5	17	25

1.5 ორგანოლექტიკური მეჩვენებლებით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-2 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 2

მაჩვენებლის დასახელება	დახასიათება
გემო და სუნი	სუფთა, უცხო გემონაკრობის და სუნის გარეშე კარაქისათვის დამახასიათებელი ნაღების გემოთი, ან ნის გარეშე.
კონსისტენცია და გარეგანი სახე	ერთგვაროვანი პლასტიკური, მკვრივი, განაჭერზე სუსტად მბრწყინავი ზედაპირით ტენის ცალკეული უწერილესი წვეთებით.
ფერი	თეთრიდან ყვითლამდე, ერთგვაროვანი მთელ მასაში.

1.6 ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-3 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს

ცხრილი 3

მაჩვენებლის დასახელება	პროდუქციის დასახელება					
	კარაქი ნაღების 82.5%	კარაქი ნაღების 72.5%	კარაქი ნაღების 61.5%	კარაქი კომბინი. 82.5%	კარაქი კომბინი. 72.5%	კარაქი კომბინი. 61.5%
ცხიმის მასური წილი %, არანაკლებ	82.5	72.5	61.5	82.5	72.5	61.5
მშრალი ნიუთიერებები	84	75	88.3	84	75	88.3
ნახშირწყლები სახაროზა	0.8	1.3	1.7	0.8	1.3	18.6
ტენის მასური წილი %, არაუმეტეს	16	25	24.4	16	25	24
ტიტრული მჟავიანობა	22	22	22	22	22	22

1.7 მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-4 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 4.

მაჩვენებლის დასახელება	ნორმები კარაქისათვის “ჯორჯიან ეკო”
მეზოფილური, აერობული და ფაკულტატიური ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა, კწე Iგ არაუმეტეს	1*10 ⁵
ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების არსებობა 0.01გ პროდუქტში	არ დაიშვება
ბათოგენური ორგანიზმები, მათ შორის სალმონელები 25გ პროდუქტში	არ დაიშვება

1.8 ტოქსიკური ელემენტების, პესტიციდების და რადიონუკლიდების შემცველობა კარაქში არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ დონეებს, რომელიც დადგენილია ჯამრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სასურსათო ნედლეულის და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი მოთხოვნებში სანიტარულ წესებსა და ნორმებში სნწ-დან 2.3.2. 000-00

2. მიღების წესები

- 2.1 კარაქის მიღება წარმოებს პარტიებად. პარტიის განსაზღვრა, გამოსაკვლევი სინჯების შერჩევა და ანალიზისათვის მომზადება წარმოებს გოსტ 26809-ის მიხედვით, ტემპერატურისა და მასა ნეტოს განსაზღვრა გოსტ 3622-ის მიხედვით.
- 2.2 მზა პროდუქციის ყოველი პარტია საწარმოდან გამოშვების წინ უნდა შემოწმდეს ლაბორატორიეს მიერ ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და გაფორმდეს შესაბამის შურნალში.
- 2.3 შურნალი ინახება საწარმო- დამამზადებელთან.
- 2.4 კარაქის ორგანოლექტიკურ შეფასებას ატარებენ პროდუქტის 12±2°C ტემპერატურაზე – გოსტ 37-ის მიხედვით.
- 2.5 კარაქის ტიტრულ მჟავიანობას საზღვრავენ მისი ხარისხის შეფასებაში უთანხმოების შემთხვევაში.

2.6 მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრას აწარმოებენ არანაკლებ ერთხელ კვარტალში.

2.7 ანალიზებით თუნდაც ერთ მაჩვენებელზე არადამაკმაყოფილებელი შედეგების მიღებისას, მის მიმართ ატარებენ განმეორებით ანალიზს ამონარჩევის განმეორებული მოცულობით, რომელსაჩც იღებენ იმავე პარტიის პროდუქტიდან.

განმეორებითი ანალიზის შედეგები საბოლოოა და ვრცელდება მთელ პარტიაზე.

3. გამოცდის მეთოდი

3.1 სინჯების აღება და მათი მომზადება საანალიზოდ წარმოებს გოსტ 26809-ის მიხედვით, ნახშირწყლების სინჯის აღება – გოსტ 26668-ის მიხედვით, სინჯის მომზადება – გოსტ 26669-ის მიხედვით.

3.2 გამოცდის მეთოდები: ცხიმის მასური წილის განსაზღვრა – გოსტ 5867-ის, ტენის მასური წილის – გოსტ 3626-ის, ტიტრული მჟავიანობის – გოსტ 3624-ის, ნახშირწყლების მასური წილის – გოსტ 29248-ის მიხედვით, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების – გოსტ 9225-ის მიხედვით.

3.3 ტოქსიკური ელემენტების განსაზღვრას აწარმოებენ გოსტ 26929-ის, გოსტ 26927-ის, გოსტ 26928-ის, გოსტ 26931-ის, გოსტ 26933-ის და გოსტ 26934-ის მიხედვით.

4. შეფუთვა, ნიშანდება, ტრანსპორტირება და შენახვა

4.1 მცირედდაფასოებული კარაქი უნდა შეიფუთოს სამომხმარებლო ტარაში ბრიკეტებად შეხვეული “3” მარკის პერგამენტში გოსტ 1341-ის მიხედვით, ან ალუმინის კაშირებულ ფოლგაში სერთიფიკატის მიხედვით, ან სხვა მათ შემცველ, ჯანდაცვის ირგანოების მიერ ნებადართულ მასალაში, მასით ნეტო 100,200გ.

- 4.2 სამომხმარებლო კარაქიანი ტარა ლამაზად უნდა იყოს გაფორმებული.
- კარაქის მასის ნეტოს გადახრა დასაშვებია, გრამებში:
- 100 გ დაფასოებული ± 2.0 ;
 - 200 გ დაფასოებული ± 3.5 ;
- 4.3 პროდუქტის ყოველ ერთეულზე სამომხმარებლო ტარაში, ტიპოგრაფიული ხერხით გადაურეცხავი საღებავით უნდა გაკეთდეს შემდეგი აღნიშვნები:
- საწარმო-დამამზადებელის დასახელება ან სასაქონლო ნიშანი, მისამართი, პროდუქციის სრული დასახელება;
 - ინფორმაციული მონაცემები 100 გ პროდუქტის კვებით და ენერგეტიკული ღირებულების შესახებ;
 - შენახვის პირობები;
 - დაფასობის თარიღი, რეალიზაციის ვადა;
 - წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;
 - დაფასობის თარიღის აღნიშვნა დასაშვებია შტემპულით ან კომპოსტერით.
- 4.4 სამომხმარებლო ტარაში შეფუთული კარაქი უნდა ჩაიწყოს მუყაოს, ყუთებში გოსტ 13515-ის, გოსტ 13513-ის, გოსტ 13511-ის მიხედვით, ან სხვა ყუთებში. ყოველ ყუთში ალაგებენ ერთი პარტიის და ერთნაირი მასის მქონე კარაქს, მასა ბრუტო არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ.
- 4.5 ტარაში დაფასოებული კარაქიანი ყუთის ერთ-ერთ სამომხმარებლო გვედით მხარეზე გადაურეცხავი საღებავით, ან მიკრული ეტიკეტით მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული:
- საწარმო-დამამზადებელის დასახელება ან სასაქონლო ნიშანი;
 - კარაქის დასახელება;
 - დაფასოებული ერთეულის მასა ნეტო;
 - შეფუთული (რაოდენობის) ერთეულის რაოდენობა;
 - დაფასობის თარიღი და რეალიზაციის ვადა;
 - პარტიის რიგითი ნომერი ყოველი თვის დასაწყისიდან მზარდი ჯამით;
 - წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა.
- 4.6 სერტიფიცირებულ პროდუქციას უნდა უკეთდებოდეს შესაბამისობის ნიშანი სსტ 1.11-ის მიხედვით. შესაბამისობის ნიშნის დასმა ხდება ნიშანდების ეტიკეტზე ან იარლიყზე, რომელსაც აწებებენ ან ჰკიდებენ სატრანსპორტო ტარაზე.
- 4.7 სატრანსპორტო ნიშანდება მანიპულაციური ნიშნის "ეშინია გათბობის" აღნიშვნით 52X74 –გოსტ 14192-ის მიხედვით.
- 4.8 საქართველოში სარეალიზაციოდ დამზადებული პროდუქციის ნიშანდება ქართულ ენაზე, ხოლო მის ფარგლებს გარეთ

მიწოდების დროს, ქართულ ენაზე, ერთ-ერთ საერთაშორისო, ან დამკვეთის ენაზე.

- 4.9 კარაქის ტრანსპორტირება უნდა წარმოებდეს დახურული სატრანსპორტო საშუალებებით მაღაფუჭებადი ტვირთების გადაზიდვის წესების დაცვით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი სახის ტრანსპორტზე.
- 4.10 კარაქის შენახვა საწარმო-დამამზადებელში, სავაჭრო ქსელში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და ხანგრძლივი შენახვის საწარმოებში უნდა ხდებოდეს ამ საწარმოებში კარაქის შენახვის წესების შესაბამისად.
- 4.11 კარაქი უნდა ინახებოდეს არაუმეტეს მინუს $-2-5^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე არა უმეტეს 80% ფარდობითი ტენიანობის პირობებში;
აღნიშნულ ტემპერატურაზე მისი რეალიზაციის ვადაა:
 - არაუმეტეს 10 დღისა პერგამენტში (ან მის შემცველში) დაფასოების დღიდან;
 - არაუმეტეს 20 დღისა ალუმინის კაშირებულ ფოლგაში, დაფასოების დღიდან;
 - დასაშვებია კარაქის შენახვა სამომხმარებლო ტარაში არაუმეტეს -8°C ტემპერატურის პირობებში. არაუმეტეს 30 დღისა.
- 4.12 კარაქის შენახვა და ტრანსპორტირება თევზიან, შებოლილ პროდუქტებთან, ხილთან, ბოსტნეულთან და სხვა სპეციფიკური სუნის მქონე კვების პროდუქტებთან ერთად არ შეიძლება.

5. დამამზადებლის გარანტია

5.1 დამამზადებელი იძლევა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან კარაქის შესაბამისობის გარანტიას, თუ დაცული იქნება ტრანსპორტირების და შენახვის პირობები.

შემუშავებულია
შ.პ.ს. "ჯორჯიან ეკო"
ტექნოლოგი

 გ. ბიძინაშვილი
"08" ----- 2006 წ.

კარაქის კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების ძირითადი მაჩვენებლები

	ცხიმი	ცილა	ნახშირწყლები	კალორიულობა
კარაქი ნაღების	82.5	0.5	0.8	748
კარაქი ნაღების	72.5	0.8	1.3	661
კარაქი ნაღების	61.5	2.5	1.7	566
კარაქი კომბინირებული	82.5	0.5	0.8	748
კარაქი კომბინირებული	72.5	0.8	1.3	661
კარაქი კომბინირებული	61.5	2.5	1.7	566

დანართი2

სტანდარტში გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტაციის ჩამონათვალი

ნორმატიული დოკუმენტაციის აღნიშვნა	ჯგუფის ნომერი	პუნქტის ნომერი
გოსტ 21-94	6 41	1.3
გოსტ 37-91	6 17	1.3 2.4
გოსტ 1341-84	კ 68	4.1
გოსტ 2874-82	6 08	1.3
გოსტ 3622-68	6 19	2.1
გოსტ 3624-32	6 19	3.2
გოსტ 3626- 73	6 19	3.2
გოსტ 5867-90	6 19	3.2
გოსტ 7009-88	6 53	1.3
გოსტ 9225-84	6 19	3.2
გოსტ 10970-87	6 17	1.3
გოსტ 13277-79	6 17	1.3
გოსტ 13511-84	6 74	4.4
გოსტ 13513-86	6 74	4.4
გოსტ 13515-80	6 74	4.4
გოსტ 14192-77	დ 79	4.7
გოსტ 23452-79	6 19	3.4
გოსტ 26668-85	6 59	3.2
გოსტ 26669-85	6 59	3.1
გოსტ 26809-86	6 19	3.7
გოსტ 26927-86	6 09	3.3
გოსტ 26928-86	6 09	3.3
გოსტ 26929-94	6 09	3.3
გოსტ 26930-86	6 09	3.3
გოსტ 26931-86	6 09	3.3
გოსტ 26932-86	6 09	3.3
გოსტ 26933-86	6 09	3.3
გოსტ 26934-86	6 09	3.3
გოსტ 29248-91	6 19	3.2
სსტ 1.11-2002		4.6
სანწ-დან2.3.2.000-00		1.8

შეთანხმების ფურცელი

შეთანხმებულია:

კავშირი "ტექნოლოგიური ცენტრის"
სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის
ტკ-17 "ხორცი, რძე და მათი გადამუშავების
პროდუქტების ტექნიკური დოკუმარე *ფაღაველი ა. ფალავანდიშვილი*



დანართი 2: საზოგადოება "სამგორის" მიერ მოწოდებული
მსტ 20964817-001-2009 "კარაქი ნაღების და კომბინირებული" სამგორი

მსგ 20964817-001-2009

მ ე წ ა რ მ ე ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

კარაქი ნაღების და კომბინირებული „სამგორი-“

თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის
 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
 მინისტრის სახელმძღვანელო
 ავტორიზირებული სააგენტო

ჯგუფი 6 17

15.06.09 № 262-12-005928
 სააგენტოს და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტის დირექტორი
 ა. ბოროშოვიჩიძე

ვამტკიცებ
 შეზღუდული
 პასუხისმგებლობის
 საზღვარში
 დირექტორი
 სამგორი-07"-ის
 მ. ცინცაბაძე
 2009წ

მ ე წ ა რ მ ე ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

კარაქი ნაღების და კომბინირებული
 „სამგორი“
 კ.კ 15.51.30

მსტ 20964817-001-2009

პირველად

მოქმედების ვადა 15.06.09-დან
 15.06.14-მდე

წინამდებარე მეწარმე სუბიექტის სტანდარტი ვრცელდება კარაქზე: კომბინირებული კარაქი, „სამგორი“, ნაღების კარაქი, „სამგორი“, შოკოლადის კარაქი, „სამგორი“ (შემდგომ ტექსტში კარაქი), კომბინირებული კარაქი მზადდება რძის ნაღების, ნაღების კარაქის და მცენარეული ცხიმის (რძის ცხიმის ანალოგიური) სპეციალური დამუშავებით, შემავსებლების შეტანით და დაფასოებით სამომხმარებლო ტარაში რძის მრეწველობის წარმოებისათვის დადგენილი სანიტარული წესების დაცვით.

პროდუქტი განკუთვნილია საკვებად და საეაჭრო ქსელში რეალიზაციისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის
 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
 მინისტრის სახელმძღვანელო
 ავტორიზირებული სააგენტო

1 ტექნიკური მოთხოვნები

1.1 კარაქი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე მეწარმე სუბიექტის სტანდარტის ოთხოვნებს და მზადდებოდეს დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნოლოგიური ნსტრუქციისა და რეცეპტურის მიხედვით, სანიტარული წესებისა და ნორმების პაცვით.

1.2 ცხიმის მასური წილის შემცველობის მიხედვით ნაღების კარაქი მზადდება: 82,5%, 72,5%, 60%

ცხიმის მასური წილის შემცველობის მიხედვით კომბინირებული კარაქი მზადდება:

-ცხიმის მასური წილით 82,5 %. მათ შორის:

- ა) ნაღების კარაქი 70%, მცენარეული ცხიმი 30%;
- ბ) ნაღების კარაქი 65%, მცენარეული ცხიმი 35%;
- გ) ნაღების კარაქი 60%, მცენარეული ცხიმი 40%;
- დ) ნაღების კარაქი 55%, მცენარეული ცხიმი 45%;
- ე) ნაღების კარაქი 50%, მცენარეული ცხიმი 50%;
- ვ) ნაღების კარაქი 45%, მცენარეული ცხიმი 55%;
- ზ) ნაღების კარაქი 40%, მცენარეული ცხიმი 60%;
- თ) ნაღების კარაქი 35%, მცენარეული ცხიმი 65%;
- ი) ნაღების კარაქი 30%, მცენარეული ცხიმი 70%;
- კ) ნაღების კარაქი 25%, მცენარეული ცხიმი 75%;
- ლ) ნაღების კარაქი 20%, მცენარეული ცხიმი 80%;

-ცხიმის მასური წილით 72,5 %. მათ შორის:


- ა) ნაღების კარაქი 70%, მცენარეული ცხიმი 30%;
- ბ) ნაღების კარაქი 65%, მცენარეული ცხიმი 35%;
- გ) ნაღების კარაქი 60%, მცენარეული ცხიმი 40%;
- დ) ნაღების კარაქი 55%, მცენარეული ცხიმი 45%;
- ე) ნაღების კარაქი 50%, მცენარეული ცხიმი 50%;
- ვ) ნაღების კარაქი 45%, მცენარეული ცხიმი 55%;
- ზ) ნაღების კარაქი 40%, მცენარეული ცხიმი 60%;
- თ) ნაღების კარაქი 35%, მცენარეული ცხიმი 65%;
- ი) ნაღების კარაქი 30%, მცენარეული ცხიმი 70%;
- კ) ნაღების კარაქი 25%, მცენარეული ცხიმი 75%;
- ლ) ნაღების კარაქი 20%, მცენარეული ცხიმი 80%;
- მ) ნაღების კარაქი 30%, მცენარეული ცხიმი 70%; (შოკოლადის)
- ნ) ნაღების კარაქი 25%, მცენარეული ცხიმი 75%;(შოკოლადის)
- ო) ნაღების კარაქი 20%, მცენარეული ცხიმი 80%;(შოკოლადის)

-ცხიმის მასური წილით 60 %. მათ შორის

ნაღების კარაქი 70%, მცენარეული ცხიმი 30%;

1.3 კარაქის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული და მასალა:

- კარაქი ძროხის გოსტ 37-ის მიხედვით;
- ცხიმი მცენარეული შესაბამისობის სერთიფიკატის მიხედვით;
- რძე მშრალი ცხიმგაცლილი გოსტ 10970-ის მიხედვით;
- რძე მშრალი ცხიმიანი გოსტ 4495-ის მიხედვით;
- რძე ძროხის პასტერიზებული გოსტ 13277-ის მიხედვით;



- წყალი სასმელი გოსტ 2874-ის მიხედვით;
- ლიმონმჟავა გოსტ 908-ის მიხედვით;
- კონსერვანტი შესაბამისობის სერთიფიკატის მიხედვით;
- არომატიზატორი შესაბამისობის სერთიფიკატის მიხედვით;
- ემულგატორი შესაბამისობის სერთიფიკატის მიხედვით;
- კაროტინი მიკრობიოლოგიური შესაბამისობის სერთიფიკატის მიხედვით;
- ნაღები ძროხის რძის რსტ149-ის მიხედვით;
- შაქარი- ფხვნილი გოსტ 21-ის მიხედვით;
- კაკაოს ფხვნილი გოსტ 108-ის მიხედვით;
- ვანილინი გოსტ 16599-ის მიხედვით;

14 ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს ირველ ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 1

მაჩვენებლების დასახელება	დახასიათება
გემო დასუნი	<p>ნაღების კარაქი: სუფთა, უცხო სუნის და გემოს გარეშე, კარაქისათვის დამახასიათებელი პასტერიზებული ნაღების გემოთი ან მის გარეშე.</p> <p>კომბინირებული კარაქი: სუფთა, უცხო სუნის და გემოს გარეშე, კარაქისათვის დამახასიათებელი ნაღების გემოთი ან მის გარეშე.</p> <p>შოკოლადის კარაქი: ტკბილი, შემავსებლებით განპირობებული გემოთი და არომატით, უცხო სუნის გარეშე.</p>
დ. ისტენცია და გარეგანი სახე	<p>ნაღების კარაქი, კომბინირებული კარაქი: ერთგვაროვანი, პლასტიკური, მკვრივი, განაჭერზე სუსტად მბრწყინავი ზედაპირი ზედაპირი ტენის ცალკეული წერილი წვეთებით.</p> <p>შოკოლადის კარაქი: ერთგვაროვანი, პლასტიკური, კარაქის ზედაპირი განაჭერზე ტენის ერთეული წერილი წვეთებით ან მის გარეშე.</p>
კერი	<p>ნაღების კარაქი, კომბინირებული კარაქი: თეთრიდან ყვითელ ფერამდე, ერთგვაროვანი მთელ მასაში</p> <p>შოკოლადის კარაქი: შოკოლადის, ყავისფერი ერთგვაროვანი მთელი მასისათვის</p>

საქართველოს სტანდარტების ეროვნული ცენტრი
 რეგისტრაციის და მართვის სამსახური
 ეროვნული სააგენტო
 რეგისტრაციის განყოფილება

1.5 ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-2 კხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 2

მაჩვენებლების დასახელება	ნორმა კარაქისათვის		
	82,5%	72,5%	60%
ცხიმის მასური წილი,%, არანაკლებ	82,5	72,5	60
ტენის მასური წილი,%, არაუმეტეს	16	25	38,5
კარაქის პლაზმის ტიტრული მუაობა, °T , არა უმეტეს		25	
შაქრის მასური წილი,%, არანაკლებ (შოკოლადის კარაქში)		18	
კაკაოს მასური წილი,%, არანაკლებ (შოკოლადის კარაქში)		1,5	
ტემპერატურა საწარმოდან გამოშვების დროს, °C, არაუმეტეს:			
ტოქსიკური ელემენტების მასური წილი, მგ.კგ, არა უმეტეს:			
ტყვია		0,1	
კადმიუმი		0,03	
დარიშხანი		0,1	
ვერცხლისწყალი		0,03	
სპილენძი		0,5	
თუთია		5,0	
რკინა		5,0	



1.6 მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-3 კხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 3

მაჩვენებლების დასახელება	ნორმა
მეზოფილური აერობული და ფაკულტატურ ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა, კვუ/ს, არა უმეტეს	1 × 10 ⁵
ხაჭლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების არსებობა 0,01გ პროდუქტში	არ დაიშვება
პათოგენური მიკროორგანიზმები, მათ შორის კალმონელები, 25 გ პროდუქტში	არ დაიშვება

1.7 ტოქსიკური ელემენტების, ანტიბიოტიკების, პესტიციდების და რადიონუკლიდების შემცველობა კარაქში არ უნდა აღემატებოდეს ნორმებს, რომლებიც დადგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჰიგიენურ მოთხოვნებში სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი სანწიდან 23.2.000-00.

2 მიღების წესები

2.1 კარაქის მიღება წარმოებს პარტიებად. პარტიის განსაზღვრა, გამოსაკვლევი სინჯების შერჩევა და ანალიზისათვის მომზადება წარმოებს ბოსტ 26809- მიხედვით, ტემპერატურისა და მასა ნეტოს განსაზღვრა ბოსტ 3622-ის მიხედვით.

2.2 მზა პროდუქციის ყოველი პარტია საწარმოდან გამოშვების წინ უნდა შემოწმდეს ლაბორატორიის მიერ ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

2.3 კარაქის ორგანოლექტიკურ შეფასებას ატარებენ პროდუქტის(12±2) ტემპერატურაზე გოსტ 37-ის მიხედვით.

2.4 კარაქის ტიტრულ მუავიანობას საზღვრავენ მისი ხარისხის შეფასებისას უთანხმოების შემთხვევაში.

2.5 მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრას აწარმოებენ არანაკლებ ვარტალში ერთხელ.

2.6 ტოქსიკური ელემენტების, მიკოტოქსინების, ანტიბიოტიკების და პესტიციდების ჰემცველობის კონტროლი ტარდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

2.7 ანალიზებით თუნდაც ერთ მაჩვენებელზე არადაამაკმაყოფილებელი შედეგების იღებისას, მის მიმართ ატარებენ განმეორებით ანალიზს, ამორჩევის გაორმაგებული ოცულობით, რომელსაც იღებენ იმავე პარტიიდან.

განმეორებითი ანალიზის შედეგები საბოლოოა და ვრცელდება მთელ პარტიაზე.

3. გამოცდის მეთოდები

3.1 სინჯების აღება და მათი მომზადება საანალიზოდ წარმოებს გოსტ 26809-ის მიხედვით.

3.2 გამოცდის მეთოდები: გოსტ 5867-ის, გოსტ 3626-ის, გოსტ 3624-ის, გოსტ 30418-ის, გოსტ 30623-ის, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების- გოსტ 9225-ის მიხედვით.

3.3 ტოქსიკური ელემენტების განსაზღვრა წარმოებს: გოსტ 26927-ის, გოსტ 26928-ის, გოსტ 26929-ის, გოსტ 26930-ის, გოსტ 26931-ის, გოსტ 26932-ის, გოსტ 26933-ის და გოსტ 26934-ის მიხედვით.

4. შეფუთვა, ნიშანდობა, ტრანსპორტირება და შენახვა

4.1 კარაქი უნდა შეიფუთოს სატრანსპორტო ტარაში მჭიდრო მონოლითის სახით ლუკოს ყუთებში გოსტ 13515-ის მიხედვით ნეტო მასით 20-25 კგ-მდე, რომელშიც წინასწარ უნდა იყოს ჩაფენილი პერგამენტი გოსტ 1341-ის მიხედვით, ან ალუმინის კაშირებული ფოლგა სერთიფიკატის მიხედვით, ან პოლიმერული ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ნებადართულ სხვა მასალისაგან დამზადებულ ტარაში.

4.2 დაფასოებული კარაქი უნდა შეიფუთოს სამომხმარებლო ტარაში ბრიკეტებად მხევეული პერგამენტში გოსტ 1341-ის მიხედვით, ან ალუმინის კაშირებულ ფოლგაში სერთიფიკატის მიხედვით, აგრეთვე პოლიმერულ მასალისაგან დამზადებულ ჭიქაში (კოლოფში) ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ნებადართულ სხვა მასალისაგან დამზადებულ ტარაში მასით ბრიკეტო 100, 150, 180, 200, 250გ.

საქართველოს სსრ-ის სსრკ-ის მინისტრთა
კავშირებისა და მმართველობის
სამინისტრო
საქართველო

4.3 კარაქი სამომხმარებლო ტარაში მხატვრულად უნდა იყოს გაფორმებული. კარაქის სა ნეტოს გადახრები დასაშვებია გრამებში:

- ± 2.0 100.0 დაფასოებისას
- ± 3.0 150.0-200.0 გ დაფასოებისას
- ± 3.5 250 გ დაფასოებისას.

4.4 სატრანსპორტო ტარაში დაფასოებული კარაქის მონოლითის ყუთის ერთ-ერთ ურდით მხარეზე გადაურეცხავი სარეზინით ან მიკრული ეტიკეტით, მკაფიოს უნდა იყოს ნიშნული:

- კარაქის დასახელება;
- საწარმო- დამამზადებლის დასახელება, ან სასაქონლო ნიშანი;
- მასა-ნატი;
- კარაქის შემადგენლობა(მცენარეული ცხიმის რაოდენობა);
- ინფორმაციული მონაცემები 100გ პროდუქტის კვებითი და ენერგეტიკული

რეკომენდაციების შესახებ;

- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;
- შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა.

4.5 პროდუქციის ყოველ ერთეულზე სამომხმარებლო ტარაში, ტიპოგრაფიული ხერხით დაურეცხავი საღებავით უნდა გაკეთდეს შემდეგი აღნიშვნები:

- საწარმო- დამამზადებლის დასახელება, სასაქონლო ნიშანი და მისამართი;
- კარაქის დასახელება;
- წონა;
- დამზადების თარიღი;
- შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა;
- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;
- ინფორმაციული მონაცემები კვებითი ღირებულებისა და შემადგენლობის შესახებ.

4.6 სამომხმარებლო ტარაში შეფუთული კარაქი უნდა ჩაიწყოს მუყაოს ყუთებში გოსტ 11-ის, გოსტ 13513-ის, გოსტ 13515-ის მიხედვით. ყოველ ყუთში ათავსებენ ერთი პარტიის ერთნაირი მასის მქონე კარაქს, მასა ბრუტო არ უნდა აღემატებოდეს 25კგ.

4.7 სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული კარაქის მონოლითის ყუთის ერთერთ ურდით მხარეზე გადაურეცხავი საღებავით ან მიკრული ეტიკეტით, მკაფიოდ უნდა იყოს ნიშნული:

- კარაქის დასახელება;
- საწარმო- დამამზადებლის დასახელება, ან სასაქონლო ნიშანი;
- მასა-ნეტი;
- შენახვის პირობები;
- გამოშვების თარიღი;
- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;

4.8 იმ შემთხვევაში თუ კარაქის რეალიზაცია ხდება საცალოდ (უყუთოდ) მაშინ იების ნიშანდება აუცილებელი არ არის.

4.9 სატრანსპორტო ნიშანდება სამანიპულაციო ნიშნის „ეშინია გათბობის“ აღნიშვნით 74 გოსტ 14192-ის მიხედვით.

4.10 საქართველოში სარეალიზაციოდ დამზადებული პროდუქციის ნიშანდება ულდება ქართულ ენაზე, ხოლო მის ფარგლებს გარეთ მიწოდების დროს, ქართულ ენაზე, ი-ერთ საერთაშორისო, ან დამკვეთის ენაზე.

4.11 კარაქის ტრანსპორტირება უნდა წარმოებდეს დახურულ სატრანსპორტო აშუალებებით მაღაფუჭებადი ტვირთების გადაზიდვის წესების დაცვით, რომლებიც ექმედებს შესაბამისი სახის ტრანსპორტზე.

4.12 კარაქის შენახვა საწარმო-დამამზადებელში, საეაჭრო ქსელში, საზოგადოებრივი კების საწარმოებში და ხანძლიერი შენახვის საწარმოებში უნდა ხდებოდეს ამ საწარმოებში კარაქის შენახვის წესების შესაბამისად.

4.13 კარაქი სატრანსპორტო ტარაში უნდა ინახებოდეს -12°C -ზე-9თვე , -15°C -ზე-10 თვე, 18°C -ზე-12 თვე

4.14 კარაქი სამომხმარებლო ტარაში უნდა ინახებოდეს: -20°C -დან -10°C მდე და არა მეტეს 80% ფარდობითი ტენიანობის პირობებში:

- პერგამენტში-70 დღე
- ალუმინის კაშირებულ ფოლგაში, პოლიმერულ ჭიქებში და კოლოფებში-90 დღე;
- -10°C - დან -3°C -მდე ტემპერატურის პირობებში:
- პერგამენტში-50 დღე
- ალუმინის კაშირებულ ფოლგაში, პოლიმერულ ჭიქებში და კოლოფებში-70 დღე;


4.16 დაუშვებელია კარაქის შენახვა და ტრანსპორტირება თევზთან, შებოლილ როდუქტებთან, ხილთან, ბოსტნეულთან და სხვა სპეციფიკური სუნის მქონე კვების როდუქტებთან ერთად.


5. დამამზადებლის ბარანტია

1 დამამზადებელი იძლევა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან კარაქის შესაბამისობის გარანტიას, თუ დაცული იქნება ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები.

პრეზენტაცია

პს „სამგორი“-07-ს დირექტორი

 I მ.ცინცაბაძე

 2009წ

ანაბრო 1

წინამდებარე სტანდარტში გამოყენებული ნორმატიული

დოკუმენტაციის ჩამონათვალი

ნდ აღნიშვნა	ჯგუფის ნომერი	კუნძტის ნომერი
გოსტ 21-94	6 41	1,3
გოსტ 37-91	6 17	1,3; 2,3
გოსტ 108-78	6 59	1,3
გოსტ 908-79	6 91	1,3
გოსტ 1341-84	3 68	4,1 4,2
გოსტ 2874-82	6 08	1,3
გოსტ 3622-68	6 19	2,1
გოსტ 3624-67	6 19	3,2
გოსტ 3626-73	6 19	3,2
გოსტ 4495-87	6 17	1,3
გოსტ 5867-90	6 19	3,2
გოსტ 9225-84	6 19	3,2
გოსტ 10970-87	6 17	1,3
გოსტ 13277-79	6 17	1,3
გოსტ 13511-91	დ 74	4,6
გოსტ 13513-86	დ 74	4,6
გოსტ 13515-91	დ 74	4,1 4,6
გოსტ 14192-77	დ 79	4,9
გოსტ 16599-71	6 91	1,3
გოსტ 26809-86	6 19	2,1 3,1
გოსტ 26927-86	6 09	3,3
გოსტ 26928-86	6 09	3,3
გოსტ 26929-86	6 09	3,3
გოსტ 26930-86	6 09	3,3
გოსტ 26930-86	6 09	3,3
გოსტ 26931-86	6 09	3,3
გოსტ 26932-86	6 09	3,3
გოსტ 26933-86	6 09	3,3
გოსტ 26934-86	6 09	3,3
გოსტ 30418-96	6 69	3,2
გოსტ 30623-98	6 69	3,2
გოსტ 149-75	6 17	1,3
სტანდარტ 2.3.2.000-00		1,7

საქართველოს სტანდარტების ეროვნული ცენტრი
 რეგისტრაციის და მხარდაჭერის
 ეროვნული ცენტრი
 ქ. თბილისი, მ. მთაწმინდა, 109

100 ბრ პროდუქტის კვებითი და ენერგეტიკული ღირებულება

პროდუქტის დასახელება	ცილა,გ	ცხიმი,გ	ნახშირწყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკაჯ
ბრძაძი	0,6	82,5	0,8	748
რძიანი რძე	0,8	72,5	1,3	661
	2,5	60	1,7	566
რძი ნაღების რძი	0,5	82,5	0,8	748
ეკოლადის რძი	3,0	72,5	18	736

დანართი 3: შპს "ნიკორას" მიერ მოწოდებული

მსტ 20630602-021-2006 "კარაქი ძროხის და კომბინირებული "ნიკორა"

2-559


მსტ 20630602-021-2006

მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

**კარაქი ქროხის და კომბინირებული
“ნიკორა”**

თბილისი
2006 წ

ვ ა მ ბ კ ი ნ ე ბ



03-10-06 268-12-005187

მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

კარაქი ძროხის და კომბინირებული "ნიკორა"	მსტ 20630602-021-2006
პკ 15.51.30	პირველად

მოქმედების ვადა 03-10-06 დან
03-10-11 მდე

წინამდებარე მეწარმე სუბიექტის სტანდარტი ვრცელდება ძროხის კარაქზე და ძროხის კარაქის და ქოლესტერინის მინიმალური შემცველობის მცენარეულ ცხიმზე (სპეციალური დამუშაევებით შერევით) (შემდგომ ტექსტში-კარაქი), რომელიც განკუთვნილია უშუალოდ საკვებად და საეაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ.

1 ტექნიკური მოთხოვნები

1.1 კარაქი უნდა დამზადდეს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცებული ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით და რძის მრეწველობის საწარმოებისათვის დადგენილი სანიტარიულ-ეეტერინარიული წესების დაცვით.

1.2 კარაქიგამომუშავდება შემდეგი სახის:

- კარაქი ძროხის ნაღების 82,5% ცხიმით;
- კარაქი ძროხის ნაღების 72,5% ცხიმით;
- კარაქი ძროხის ნაღების 71,5% ცხიმით;
- კარაქი კომბინირებული 82,5% ცხიმით (30% მცენარეული ცხიმით);
- კარაქი კომბინირებული 72,5% ცხიმით (25% მცენარეული ცხიმით);
- კარაქი კომბინირებული 71,5% ცხიმით (20% მცენარეული ცხიმით).

1.3 კარაქის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნელლეული და მასალა:

- კარაქი ძროხის ბოსტ 37-ის მიხედვით;
- კარაქი ნაღების შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- რძე ძროხის პასტერიზებული უცხიმო ბოსტ 13277-ის მიხედვით;
- რძე მშრალი ცხიმგაცლილი ბოსტ 10970-ის მიხედვით;
- შაქრის ფხვნილი ბოსტ 21-ის მიხედვით;
- ცხიმი მცენარეული შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- წყალი სასმელი ბოსტ 2874-ის მიხედვით.

1.4 ნელლეული 100 კგ. პროდუქტზე (ცხრილი 1):

ცხრილი 1

ნელლეულისა და მასალის დასახელება	პროდუქტის დასახელება					
	კარაქი ნაღების 82,5%	კარაქი ნაღების 72,5%	კარაქი ნაღების 71,5%	კარაქი კომბინირებული 82,5%	კარაქი კომბინირებული 72,5%	კარაქი კომბინირებული 71,5%
კარაქი ნაღების	100	87.8	71.7	65	63	60
ცხიმი მცენარეული	-	-	-	30	25	20
აღდგენილი რძე	-	12.2	28.3	5	12	20

1.5 ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-2 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 2

მაჩვენებლის დასახელება	ღ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა
გემო და სუნი	სუფთა, უცხო-გემონაკრაობისა და სუნის გარეშე, კარაქისათვის დამახასიათებელი ნაღების გემოთი ან მის გარეშე.
კონსისტენცია და გარეგანი სახე	ერთგვაროვანი პლასტიკური, მკვრივი, განაჭვრზე სუსტად მბრწყინავი ზელაპირით ტენის ცალკეული უწვრილესი წვეთებით.
ფერი	თეთრიდან ყვითლამდე, ერთგვაროვანი მთელ მასაში.

1.6 ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-3 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 3

მაჩვენებლის დასახელება	პროდუქტის დასახელება					
	პარაქი ნალეპის 82,5%	პარაქი ნალეპის 72,5%	პარაქი ნალეპის 71,5%	პარაქი კომბინირებული 82,5%	პარაქი კომბინირებული 72,5%	პარაქი კომბინირებული 71,5%
ცხიმის მასური წილი, %, არანაკლებ	82.5	72.5	71.5	82.5	72.5	71.5
მშრალი ნივთიერებები	84	75	82.8	84	75	82.8
ნახშირწყლები სახარომა	0.8	1.3	1.7	0.8	1.3	1.7
ტენის მასური წილი, %, არა უმეტეს	16	25	25	16	25	25
გიგრული მკაფიანობა	22	22	22	22	22	22

1.7 მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით კარაქი უნდა შეესაბამებოდეს მე-4 ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 4

მაჩვენებლის დასახელება	ნორმა კარაქისათვის
მემოფილური, აერობული, ფაკულტარული ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა კწე 1გ პროდუქტში არა უმეტეს	1×10^5
ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების არსებობა 0,01 გ პროდუქტში	არ დაიშვება
პათოგენური ორგანიზმები, მათ შორის სალმონელები 25 გ პროდუქტში	არ დაიშვება

1.8 ტოქსიკური ელემენტების, პესტიციდების და რადიონუკლიდების შემცველობა კარაქში არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ ღონეებს, რომლებიც დადგენილია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სასურსათო ნედლეულის და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი მოთხოვნებში სანიტარიულ წესებსა და ნორმებში სანწლან 2.3.2. 000-00.

2 მიღების წესები

2.1 კარაქის მიღება წარმოებს პარტიებად. პარტიის განსაზღვრა, გამოსაკვლევი სინჯების შერჩევა და ანალიზისათვის მომზადება წარმოებს ბრსბ 26809-ის მიხედვით, ტემპერატურისა და მასა ნეტოს განსაზღვრა ბრსბ 3622-ის მიხედვით.

2.2 მზა პროდუქციის ყოველი პარტია საწარმოდან გამოშვების წინ უნდა შემოწმდეს ლაბორატორიის მიერ ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და გაფორმდეს შესაბამის ჟურნალში.

2.3 ჟურნალი ინახება საწარმო-დამამზადებელთან.

2.4 კარაქის ორგანოლექტიკურ შეფასებას აგარებენ პროდუქტის 12 ± 2 °C ტემპერატურაზე – ბრსბ 37-ის მიხედვით.

2.5 კარაქის გიგრულ მჟავიანობას საზღვრავენ მისი ხარისხის შეფასებაში უთანხმოების შემთხვევაში.

2.6 მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრას აწარმოებენ არანაკლებ ერთხელ კვარტალში.

2.7 ანალგეზით თუნდაც ერთ მაჩვენებელზე არაღამაკმაყოფილებელი შედეგების მიღებისას, მის მიმართ ატარებენ განმეორებით ანალიზს ამონარჩევის გაორმაგებული მოცულობით, რომელსაც იღებენ იმავე პარტიის პროდუქტიდან.

განმეორებითი ანალიზის შედეგები საბოლოოა და ერცელდება მთელ პარტიაზე.

3 ბამოცლის მეთოდები

3.1 სინჯების აღება და მომზადება საანალიზოდ წარმოებს ბოსტ 26809-ის მიხედვით, ნახშირწყლების სინჯის აღება – ბოსტ 26668-ის მიხედვით, სინჯის მომზადება – ბოსტ 26669-ის მიხედვით.

3.2 გამოცდის მეთოდები: ცხიმის მასური წილის განსაზღვრა – ბოსტ 5867-ის, ტენის მასური წილის – ბოსტ 3626-ის, ციგრული მკაეიანობის – ბოსტ 3624-ის, ნახშირწყლების მასური წილის – ბოსტ 29248-ის მიხედვით, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების – ბოსტ 9225-ის მიხედვით. მცენარეული ცხიმების ცხიმმკაეიანობის განსაზღვრის მეთოდი ბოსტ 30418-ის მიხედვით, ფალსიფიცირების აღმოჩენის მეთოდი ბოსტ 30623-ის მიხედვით

3.3 გოქსიკური ელემენტების განსაზღვრას აწარმოებენ ბოსტ 26929-ის, ბოსტ 26927-ის, ბოსტ 26928-ის, ბოსტ 26930-ის, ბოსტ 26931-ის, ბოსტ 26932-ის ბოსტ 26933-ის და ბოსტ 26934-ის მიხედვით.

4 შეფუთვა, ნიშანღება, ტრანსპორტირება და შენახვა

4.1 მცირედღაფასოებული კარაქი უნღა შეიფუთოს სამომხმარებლო ტარაში ბრიკეტებაღ შეხვეული “3” მარკის პერგამენგში ბოსტ 1341-ის მიხედვით, ან ალუმინის კაშირებულ ფოლგაში სერტიფიკატის მიხედვით, ან სხვა მათი შემცველი ჯანმრთელობის ღაცვის ორგანოების მიერ ნებაღართულ მასაღაში, მასით ნეგო 100, 200 გ.

4.2 კარაქიანი სამომხმარებლო ტარა ლამაზაღ უნღა იყოს გაფორმებული. კარაქის მასა ნეგოს გაღახრა ღასაშეებია, გრამებში:

- 100 გ ღაფასოებული $\pm 2,0$;
- 200 გ ღაფასოებული $\pm 3,5$.

4.3 პროდუქტის ყოველ ერთეულზე სამომხმარებლო ტარაში, გიპოგრაფიული ხერხით გაღაურეცხავი საღებავით უნღა გაკეთღვს შემღვევი აღნიშენები:

– საწარმო-ღამამზაღებღის ღასახეღება, ან სასაქონლო ნიშანი, მისაღართი, პროდუქციის სრული ღასახეღება;

– მასა ნეგო;

– ინფორმაციული მონაცემები 100 გ პროდუქტის კვებითი ღა ენერგეტიკული ღირებუღების შესახებ;

– შეანხვის პირობები;

- დაფასოების თარიღი, რეალიზაციის ვადა;
- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა;
- დაფასოების თარიღის აღნიშვნა დასაშვებია შტემპულით, ან კომპოსტერით.

4.4 სამომხმარებლო გარაში შეფუთული კარაქი უნდა ჩაიწყოს მუყაოს ყუთებში ბოსტ 13515-ის, ბოსტ 13513-ის, ბოსტ 13511-ის მიხედვით, ან სხვა ყუთებში. ყოველ ყუთში ათავსებენ ერთი პარტიის და ერთნაირი მასის მქონე კარაქს, მასა ბრუტო არ უნდა აღემატებოდეს 20 გ.

4.5 სამომხმარებლო გარაში დაფასოებულ კარაქიანი ყუთის ერთ-ერთ გვერდით მხარეზე გადაურეცხავი საღებავით, ან მიკრული ეტიკეტით, მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული:

- საწარმო-დამამზადებლის დასახელება, ან სასაქონლო ნიშანი;
- კარაქის დასახელება;
- დაფასოებული ერთეულის მასა ნეტო;
- შეფუთული (რაოდენობის) ერთეულის რაოდენობა;
- დაფასოების თარიღი და რეალიზაციის ვადა;
- პარტიის რიგითი ნომერი ყოველი თვის დასაწყისიდან მზარდი ჯამით;
- წინამდებარე სტანდარტის აღნიშვნა.

4.6 საგრანსპორტო ნიშანდება მანიპულაციური ნიშნის “ეშინია ვათობის” აღნიშვნით 52 X 74 – ბოსტ 14192-ის მიხედვით.

4.7 საქართველოში სარეალიზაციოდ დამზადებული პროდუქციის ნიშანდება სრულდება ქართულ ენაზე, ერთ-ერთ საერთაშორისო, ან დამკვეთის ენაზე.

4.8 კარაქის გრანსპორტირება უნდა წარმოებდეს დახურულ საგრანსპორტო საშუალებებით მალფუჭადი გვირთების გაღამიდვის წესების დაცვით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი სახის გრანსპორტზე.

4.9 კარაქის შენახვა საწარმო-დამამზადებელში, საეაჭრო ქსელში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და ხანგრძლივი შენახვის საწარმოებში უნდა ხდებოდეს ამ საწარმოებში კარაქის შენახვის წესების შესაბამისად.

4.10 კარაქი უნდა ინახებოდეს არაუმეტეს მინუს 2-5°C ტემპერატურაზე არა უმეტეს 80% ფარლობითი გენიანობის პირობებში.

აღნიშნულ ტემპერატურაზე მისი რეალიზაციის ეადაა:

- არა უმეტეს 10 დღისა პერგამენტებში (ან მის შემცველში) დაფასოების დღიდან;
- არა უმეტეს 20 დღისა ალუმინის კაშირებულ ფოლგაში დაფასოების დღიდან;
- დასაშვებია კარაქის შენახვა სამომხმარებლო გარაში არა უმეტეს -8°C

ტემპერატურის პირობებში, არა უმეტეს 30 დღისა.


4.11 კარაქის შენახვა და გრანსპორტირება თევზიან, შებოლილ პროდუქტებთან, ხილთან, ბოსტნეულთან და სხვა სპეციფიკური სუნის მქონე კვების პროდუქტებთან ერთად არ შეიძლება.

5 დამამზადებლის გარანტია

5.1 დამამზადებელი იძლევა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან კარაქის შესაბამისობის გარანტიას, თუ დაცული იქნება ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები.

შეამოწმა:

შპს "ნიკორა"-ს, მთ. ტექნოლოგი

 თ. გავაშელიძე
28 07 2006წ

კარაქი კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების
ძირითადი მაჩვენებლები

ტონა

კარაქის დასახელება	ცხიმში	წყალი	ნახშირწყლები	კალორიულობა
კარაქი ნაღების	82.5	0.5	0.8	748
კარაქი ნაღების	72.5	0.8	1.3	661
კარაქი ნაღების	71.5	2.5	1.7	635
კარაქი კომბინირებული	82.5	0.5	0.8	748
კარაქი კომბინირებული	72.5	0.8	1.3	661
კარაქი კომბინირებული	71.5	2.5	1.7	635

სტანდარტებში გამოყენებული ნორმატიული
დოკუმენტაციის ჩამონათვალი

ნორმატიული დოკუმენტაციის აღნიშვნა	ჯგუფის ნომერი	კუნძის ნომერი
გოსტ 21-94	6 41	1.3
გოსტ 37-91	6 17	1.3 2.4
გოსტ 1341-84	კ 68	4.1
გოსტ 2874-82	6 08	1.3
გოსტ 3622-68	6 19	2.1
გოსტ 3624-32	6 19	3.2
გოსტ 3626-73	6 19	3.2
გოსტ 5867-90	6 19	3.2
გოსტ 9225-84	6 19	3.2
გოსტ 10970-87	6 17	1.3
გოსტ 13277-79	6 17	1.3
გოსტ 13511-84	დ 74	4.4
გოსტ 13513-86	დ 74	4.4
გოსტ 13515-80	დ 74	4.4
გოსტ 14192-77	დ 79	4.6
გოსტ 26668-85	6 59	3.2
გოსტ 26669-85	6 59	3.2
გოსტ 26809-86	6 19	2.1 3.1
გოსტ 26927-86	6 09	3.3
გოსტ 26928-86	6 09	3.3
გოსტ 26929-94	6 09	3.3
გოსტ 26930-86	6 09	3.3
გოსტ 26931-86	6 09	3.3
გოსტ 26932-86	6 09	3.3
გოსტ 26933-86	6 09	3.3
გოსტ 26934-86	6 09	3.3
გოსტ 29248-91	6 19	3.2
გოსტ 30418-96	6 69	3.2
გოსტ 30623-98	6 69	3.2
საენჭიან 2.3.2. 000-00		1.8

შეთანხმების ურცხალი

შეთანხმებუღია

კავშირი "ტექნოლოგიური ცენტრი"-ს
სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის
ტკ 17 "ხორცი, რძე და მათი გადამუშავების
პროდუქტები"-ს თაემჯდომარე

_____ ბ. ჟალავანდიშვილი
_____ 2006 წ



საქართველოს სახელმწიფო საბინაო
კონსტრუქციის და არქიტექტურის
ინსტიტუტი
რეგისტრირებული
სახელმწიფო დაწესებულება
№ 268-32-005187/08
საბინაო-კონსტრუქციის
და არქიტექტურის
სამსახური



№ 268 6 17

ვაგბაძე

შპს "ნიკორას"
გენერალური დირექტორი
[Signature]
ს. სუხიაშვილი
2008 წ.
00050675

ცვლილება 1

მსტ 20630602 -021-2006

კარაქი კროსის და კომბინირებული "ნიკორა"

პუნქტი 1.2 დაემატოს:

- შოკოლადის კარაქი 71,5% და 82,5% ცხიმით;
- მცენარეული კარაქი 61% და 71,5% ცხიმით

პუნქტი 1.3 დაემატოს:

- კაკოს უხენილი ბოსტ 108-ის შიხუდვით; ვანილი ბოსტ 16599-ის შიხუდვით.

ცხრილი 1 დაემატოს კარაქი შოკოლადის 71,5% და 82,5% ცხიმით და კარაქი მცენარეული 61% და 71,5% ცხიმით.

პუნქტი 1.5 დაემატოს:

ვემო და სუნი შოკოლადის კარაქს გამოხატული შოკოლადის გემო. ფერი შოკოლადის ფერი.

პუნქტი 1.6 დაემატოს:

შოკოლადის კარაქს ცხიმის მასური წილი 71,5%, ტენი 25%, მეაფიანობა 22.

ნახშირწყლები 1.3 მშრალი ნივთიერება 82.8 მცენარეული კარაქი 61%, ტენი 32%, მეაფიანობა 22, ნახშირწყლები 0,8 მშრალი ნივთიერება 75.

ნორმატიულ დოკუმენტში გამოიყენებული სტამდარტები:

ბოსტ 108-76	6 56	13
ბოსტ 16599-71	6 91	13

შეამუშავებულია

შპს "ნიკორა"
ტექნოლოგი

თ. გაგაშელიშვილი

დანართი 4: შპს "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტის" მიერ მოწოდებული
მსტ 20446152-016-04 "კარაქი"

მსტ. 20446152-016-04


მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

კარავი

2004წ.

პამტკიცება:


 266/002548
 ს. ხანტუაშვილი
 ს. მჭედიაშვილი

შპს „სანტე“ პროდუქტების“
 პროდუქტების
 მწარმოებელი
 20446152-016-04
 04 წელი


მ ე წ ა რ მ ე ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ა რ ტ ი

კარაქი

მსტ 20446152-016-04

პკ 15.51.30

პირველად

მოქმედების ვადა

12.11.04 ----- დან

12.11.09 ----- მდე

წინამდებარე მეწარმე სუბიექტის სტანდარტი ვრცელდება კარაქზე, რომელიც მზადდება რძის ნაღების ან რძის პროდუქტების (რძე, ნაღები, ნაღების კარაქი) და მცენარეული პროდუქტების (მცენარეული ცხიმი, მცენარეული ცილა) ურთიერთშერევის და მისი შემდგომი შედგენის ან სპეციალურ კონსტრუქციის დანადგარზე ცხიმოვან-ცილოვანი კომპოზიტის კარაქად გადრეკმის გზით. კარაქი განკუთვნილია უშუალოდ საკვებად და კულინარიული მიზნებისათვის.

1. ასორტიმენტი

1.1 გამოყენებული ნედლეულის და კარაქში ცხიმის მასური წილის მიხედვით კარაქი გამოიყოფა შემდეგი ასორტიმენტის:

კარაქი "ვეროპული" 72,5% ცხიმის მასური წილით, მიღებული მცენარეული და ცხოველური ნედლეულის კომბინირების გზით, სადაც მცენარეული ცხიმის მასური წილია 60 %, რძის ცხიმის 40 %.

კარაქი "მცენარეული" 72,5% ცხიმის მასური წილით, მიღებული მხოლოდ მცენარეული წარმოშობის ნედლეულიდან.

კარაქი "ექსტრა" 82,5% ცხიმის მასური წილით, მიღებული მცენარეული და ცხოველური ნედლეულის კომბინირების გზით, სადაც მცენარეული ცხიმის მასური წილია 60 %, ხოლო რძის ცხიმის 40 %.

კარაქი "სანტე" 60% ცხიმის მასური წილით, მიღებული მცენარეული და ცხოველური ნედლეულის კომბინირების გზით, სადაც მცენარეული ცხიმის მასური წილია 60 %, ხოლო რძის ცხიმის 40 %.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 კარაქის გამომუშავება უნდა მოხდეს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, საწარმოო დამამზადებლის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით რძის მრეწველობის საწარმოებისათვის დადგენილი სანიტარული წესებისა და ნორმების დაცვით;

2.2 კარაქის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული და მასალები:

- რძე ძროხის გოსტ 13264-ის მიხედვით;
- რძე ძროხის, ცხიმგაცლილი, მიღებული ძროხის რძიდან გოსტ 13264-ის მიხედვით;
- ნაღები მიღებული ძროხის რძიდან გოსტ 13264-ის მიხედვით;
- კარაქი გოსტ37-ის მიხედვით;
- რძე მშრალი ცხიმმოუხდილი გოსტ 4495-ის მიხედვით;
- რძე მშრალი ცხიმგაცლილი გაფრქვევითი შრომის გოსტ 10970-ის მიხედვით;
- სოიოს ცილა ან მოდიფიცირებული კვებითი სოიოს ცილის იზოლატი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- რძის ცხიმი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- რძის ცხიმის შემცველი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- დო რძის ნატურალური ან მშრალი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- რძის შრავი ნატურალური ან მშრალი ტექნიკური შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- ქოქოსის ცხიმი გოსტ 10766-64-ის მიხედვით;
- პალმის ცხიმი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- მცენარეული ცხიმების ნარევი სპეციალიზირებული, რაფინირებული და დეზოდორირებული, შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- სოიოს ზეთი გოსტ 7825-ის მიხედვით;
- მზესუმზირის ზეთი გოსტ 1129-ის მიხედვით;
- სუფრის მარილი გოსტ 13830-ის მიხედვით;
- ხორბლისაგან წარმოშობილი ცხიმი (ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი – ნუტრიცევტიკი) – შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- კაროტინი მიკრობიოლოგიური შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- არომატიზატორი საკვები: ნაღების, ნიგეზის ნებადართული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- წყალი სასმელი გოსტ 2874-ის მიხედვით;
- კარაგენანი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- ვიტამინები A, D და E შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- ემულგატორი E385, E471, შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- ნიზინი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით;
- სორბინის მჟავა ან სორბინის მჟავა კალიუმი შესაბამისობის სერტიფიკატის მიხედვით.
- შაქარი ფხვნილი გოსტ 21-ის მიხედვით;

